

ახალი თაობა



ილია II-მ სიონის ტაძარში სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა

4 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის ტაძარში სამადლობელი პარაკლისი შეასრულა.
სიონის ტაძარში უამრავი ადამიანი იმყოფებოდა. პატრიარქმა მათ პარაკლისის დასრულების შემდეგ მადლობა გადაუხა.
4 იანვარს საქართველოს პატრიარქს 80 წელი შეუსრულდა. რამდენიმე დღის წინ კი ერმა მისი აღსაყდრების 35 წლის იუბილე იზეიმა.

მედიანოუსი



5 — 6 იანვარი, 2013

№3 (6004)

ფასი: 30 თეთრი

აპ.2 ლევან ბერძენიშვილი: „ქართული ოცნება პრაზიდანებს უფლებებს შეუზღუდავს!“



მამუკა არეშიძე: „2013 წელს სერიოზულ კატაკლიზმებს ველი“



პრაზიდანების გადაღობის მოთხოვნით აქციები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიგართა

შეუძლია თუ არა პროკურატურას დაუბათის დაკითხვა?



არის თუ არა საშიში სააკაშვილი



„მივიღე ორი ტომარა ფქვილი, მაგრამ არ გავყიდულვარ!“

რამდენი ელჩი გამოიწვია მანა ფანჯიქიძე



ბიძინა ივანიშვილი: „ქართული ოცნება ჯერ არ იზღაბა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კოალიცია „ქართული ოცნების“ შესაძლო დაშლაზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევს. იგი ამ განცხადებით საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ლევან ბერძენიშვილს გამოეხმაურა, რომელმაც გაზეთ „პრაიმ-ტაიმში“ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები მონაწილეობას ცალ-ცალკე მიიღებენ. ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, თვითმმართველობის არჩევნებში პარტიების ცალ-ცალკე მონაწილეობაზე საუბარი ჯერ არ ყოფილა.
„რატომ თქვა ლევანმა ეს, არ ვიცი. თუ მას, რესპუბლიკურ პარტიას ან კოალიციაში შემავალ სხვა ძალას არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის სურვილი ექნება, რა თქმა უნდა, ამის გაკეთება შეუძლიათ, თუმცა ეს კოალიციის დონეზე ჯერ განხილული არ ყოფილა. ჯერჯერობით კოალიციის ვინარჩუნებთ, ამიტომ დაშლაზე საუბარი ჯერ არ არის და ნაადრევია“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა. პრემიერის განმარტებით, ისინი იმასაც აცნობიერებენ, რომ შესაძლოა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მომავალი არჩევნებისთვის სუსტ ძალას წარმოადგენდეს, რის გამოც კოალიციაში შემავალ პარტიებს ერთმანეთის კონკურენცია მოუწიოთ.
„იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ გვეყოლება რეალური გარე ოპოზიცია — რისი ეჭვიც სერიოზულადაა, რადგან ნაციონალური მოძრაობა პრაქტიკულად ელექტორატს ვეღარ ფლობს და მომავალ არჩევნებში ალბათ სუსტად იქნება წარმოდგენილი, ჩვენ გავზრდით შიდა კონკურენციას“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მედიანოუსი

როგორი იქნება 2013 წელი ზოდიაქოს ნიშანთათვის?



„100 ქართული კაგლი გუბლეაჰვა განთავსდა“



არის თუ არა საშიში სააკაშვილი

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

კონსტიტუციის მიხედვით მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 10 ოქტომბერს უნდა გაიმართოს. მოქმედა პრეზიდენტმა კონსტიტუციური ცვლილების მიხედვით დაახლოებით 9 თვით გაიხანგრძლივა სახელისუფლებო ვადა და თუ კიდევ ერთხელ არ შეიტანეს აღნიშნულ საკითხზე ცვლილება კონსტიტუციაში, მაშინ მიმდინარე წლის შემოდგომაზე კიდევ ერთ პოლიტიკურად დატვირთულ პერიოდს უნდა ველოდეთ.



ბიძინა ივანიშვილიმ განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ არ აპირებს პრეზიდენტის იმპიჩმენტს. ამის მიზეზი რამდენიმეა: „ქართული ოცნებას“ არ აქვს პარლამენტში იმპიჩმენტისათვის საჭირო რაოდენობის ხმები; პრეზიდენტი, როგორც პოლიტიკური ძალა, საშიში აღარ არის; იანვარში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება დამატებითი პრობლემები საქართველოსთვის

ბიძინა ივანიშვილიმ განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ არ აპირებს პრეზიდენტის იმპიჩმენტს. ამის მიზეზი რამდენიმეა: „ქართული ოცნებას“ არ აქვს პარლამენტში იმპიჩმენტისათვის საჭირო რაოდენობის ხმები; პრეზიდენტი, როგორც პოლიტიკური ძალა, საშიში აღარ არის; იანვარში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება დამატებითი პრობლემები საქართველოსთვის

შეუმცირდა და ფინანსურიც. ფინანსური რესურსი კიდევ რომ მოიძიონ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, მაინც გაუჭირდებათ არჩევნების მოგება, რადგან ივანიშვილის გუნდმა უკვე მოახერხა მთავარი კოზირების ალება: გაიზრდება პედაგოგების ხელფასი (საკმაოდ სოლიდურადაც-დაახლოებით იმდენით, რამდენითაც შეიძლება გაზრდოდა ხელფასი სერტიფიცირების შემთხვევაში), იმატებს პენსიებიც. მოგვსენებათ, რომ პენსიონერი და პედაგოგი ელექტორატის ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენს. საერთო ჯამში დიდი შეღავათი იქნება საბაზისო საყოველთაო დაზღვევა, ელექტროენერგისა და ბუნებრივი სანავიგაციო ტარიფების კლება. საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი 100 კილოვატსათზე ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს, მათთვის 30%-მდე ნაკლებს გადახდა ეფექტურად გამოიყურება დაბალბიუჯეტის იმპიჩმენტისათვის. დასაქმების თვალსაზრისით ჯერ მხოლოდ ის ჩანს, რომ ბიუროკრატიული აპარატი იცვლება: მიღიან „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, მათ ნაცვლად „ქართული ოცნების“ ერთგული პირები ინიშნებიან. არავის უჭირს ეს ფაქტი, რადგან ყველა პოლიტიკური ძალა თავისი გუნდით მოდის ყველაზე დაბალადმინისტრაციულ ერთეულებშიც კი. საერთო სურათი კი ასეთია: თუ პრეზიდენტმა ვადადამ დაითხოვა პარლამენტი, ახალი არჩევნებისათვის „ქართული ოცნება“ მზადყოფნაშია. მან უკვე მოხიბლა ქართველი ამომრჩეველი, საარსებო მიზნებში თითქმის არ შეცვლილა, საბაგიროდ იზრდება ფიზიკური პირების შემოსავლები. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი სოფლად ცხოვრობს, მათთვის, როგორც ამბობენ, ცალკე სიურპრიზები იგეგმება ივანიშვილის მხრიდან. მილიარდიანი ფონდის გარდა სამწლიანი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის უფასო ხელშეწყობა გლეხების გულისმოსაგები საუკეთესო საშუალებაა.

რაც შეეხება იანვარში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას, ნამდვილად არ ექაჩება ივანიშვილს, როგორც ქართული პოლიტიკის ამჟამინდელ მესტროს. მართალია, ისეთი ძლიერი და გავლენიანი პრემიერის ფონზე, როგორც ჭორიკილია მილიარდერია, ყველა საპრეზიდენტო კანდიდატურა იქნება უფერო. მით უფრო, ჯერ მიხსნა კაბინეტის წევრების შენაშენისას არ ჩანს გამოკვეთილი საპრეზიდენტო ფიგურა, ისევე, როგორც პარლამენტართა შორის. მოქმედი პრეზიდენტის რეიტინგისა და გავლენის შემცირება ივანიშვილს აძლევს საშუალებას, რომ „ქართული ოცნების“ რიგებიდან მოგვიანებით აარჩიოს შესაფერისი საპრეზიდენტო კანდიდატურა. უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის ფონზე ვერცერთი პრეზიდენტი ვერ იქნება კოლორიტული. კულუარული ინფორმაციით „ქართული ოცნების“ მხრიდან ყველაზე უკეთესი კანდიდატურა ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ირაკლი ალასანია იქნება, რომელიც გარდა მის პირად ღირსებების გათვალისწინებისა, დემოკრატიული დასავლეთისათვის ერთგვარი რევერანსი იქნება.

აქიდან გამომდინარე, 5 იანვარს დაგეგმილი აქცია პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით დიდად ეფექტური არ იქნება. მისი მოწყობა ერთგვარი ძლიერი შესივი იქნება მიხედვით სააკაშვილისადმი, რომ მან არააღუქვადური ნაბიჯები არ გადადგას და არ მოიტანს აქციის პირდაპირ შედეგს-საკაშვილი ოქტომბრამდე თანამდებობას შეინარჩუნებს.

„მივიღე ორი ტოპარა ფაქილი, მაგრამ არ გავყიდულვარ!“

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

ჭიათურის მუნიციპალიტეტში 1 ოქტომბრის არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ საკმაოდ დიდი წარმატება მოუტანა. ალბათ ამის გამო ჭიათურაში ადმინისტრაციული რესურსების ცვლას დიდი ვნებათაღელვა არ გამოუწვევია. ძველმა კადრებმა ხავერდოვნად დაუთმეს ადგილი „მეოცნებებს“, რაც შეეხება ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომელიც არჩევნით ორგანოა, მომდევნო თვითმართვლობის არჩევნებამდე ცვლილება არ მოხდება. არც ის ჩაუთვლია ვინმეს მერვე საოცრებად, რომ საკრებულოს უმრავლესობას წყალი შეუდგა და სწრაფად დაიწყო პოლიტიკური ფერისცვალება. „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრებმა უკვე შექმნეს ორი ისეთი ფრაქცია, რომლებიც ასოცირდება „ქართული ოცნებასთან“ („ქართული ოცნება“ და „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“) და საკრებულოდ, ახლო მომავალში მესამე ფრაქციაც იგივე შინაარსით შექმნება. ჭიათურაში მიმდინარე საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ნუკრი ჭუმბურიძეს.

ბატონო ნუკრი, თქვენი პოლიტიკური წარსული არჩევნის ხელისუფლებას უკავშირდებათ თუ ყოველთვის ახერხებდით 1990 წლის შემდეგ შეგენარჩუნებინათ ხელმძღვანელი პოსტები, რენეგატიზმის ხარჯზე ხდებოდა ეს ყველაფერი?

— გამოჩენილმა ინგლისელმა პოლიტიკოსმა ჩერჩილმა ოთხჯერ გამოცვალა პარტია, მაგრამ ამის გამო ის არავის დაუნებია. როცა პოლიტიკური კურსის მიუხედავად შეგიძლია საქმეს და სამშობლოს გამოადგე, არც პარტიის ცვლა მიმანჩნია საძრავსადა. თავდაპირველად, როცა სტუდენტი გახდი, ჩემი თანაკურსელი აღმოჩნდა დავით ბერძენიშვილი, რომლის გავლენითაც რესპუბლიკური პარტიის წევრი გახვე. ეს იყო 1979 წელს. როცა „ნაციონალური მოძრაობა“ გამოჩნდა პოლიტიკურ სარბიელზე, „რესპუბლიკური პარტია“ აღიანსა იყო ამ ძალასთან. 2003-2007 წლებში ჭიათურის „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ვიყავი, ამჟერად როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, უპარტიო ვარ, მაგრამ 2013 წლიდან ისევ განვაახლებ „რესპუბლიკელებთან“ თანამშრომლობას.

როგორ შევასებდით იმ ფაქტს, რომ ჭიათურის საკრებულოში უკვე მესამე ფრაქციის შექმნას უნდა ველოდეთ „ოცნების“ ელფერით?

— საკრებულოს სამ წევრს შეუძლია შექმნას ცალკე ფრაქცია. მათ რეგულაციები აქვთ, რომ სხვადასხვა სახელით დარეგისტრირდნენ. ის ფაქტი, რომ საკრებულოს უმრავლესობა დიდად აქტიური არ არის, ეს შედეგად იქნება.

ლია შექმნას ცალკე ფრაქცია. მათ რეგულაციები აქვთ, რომ სხვადასხვა სახელით დარეგისტრირდნენ. ის ფაქტი, რომ საკრებულოს უმრავლესობა დიდად აქტიური არ არის, ეს შედეგად იქნება.

წინასაარჩევნო პერიოდში ჭიათურაში კოლონალური თანხები დაიხარჯა. ჩემ მიერ მოკვლეული მასალების მიხედვით 20 მილიონი ლარი დაიხარჯა არჩევნებამდე. რას გვეტყობოდა ამის შესახებ?

— გასული წლის მუნიციპალური ბიუჯეტი დაახლოებით 7 მილიონით იყო განსაზღვრული. დანარჩენი თანხა საკრებულოს გვერდის ავლით იქნა გახარჯული. ის ცენტრალური ბიუჯეტიდან იქნა გადამორიცხული. რასაკვირველია, ეს თანხა წინასაარჩევნოდ მოხმარდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხმების მოგროვებაში. რომელი მინისტრის შედეგების ლიკვიდაციას ხაზობდნენ, რომ არიან დასაჯადი? ფქვილი, ზეთს, მაკარონს თუ შაქარს? 1991 წელს მიხსივრა მოხდა და 2012 წელს დაიწყო მისი საკონპესაციო მოქმედება? ერთმა გაბედულმა ჭიათურელმა კარზე გამოაკრა წარწერა: „მივიღე ორი ტოპარა ფაქილი, მაგრამ არ გავყიდულვარ!“ ჩემი მოსაზრებაა, რომ ჭიათურაში „ნაციონალური მოძრაობის“ გადამრჩევი იქნება ნებისმიერი ხარჯის სანაცვლოდ გრანდიოზული გამარჯვება თუნდაც იმისათვის, რომ წელში გამართლებს ეთქვას დანარჩენი საქართველოსთვის, ივანიშვილს თავის მეზობელ მუნიციპალიტეტშიც არ უჭერენ მხარს. ამას მაშინ იტყობდნენ, თუკი მოახებდნენ გაყალბებით საპარლამენტო უმრავლესობის შექმნას.

ახლანან თითქმის ყველა ტერიტორიულ ორგანოში შეიცვალა ბიუროკრატიული აპარატი. ყოფილი ადმინისტრაციული რესურსების მხრიდან არ ყოფილა უკმაყოფილება მაინც?

— საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოა. აღმასრულებელ უმაღლეს ხელისუფალს მუნიციპალიტეტში გამგებელი წარმომადგენს. გამგებულს კი თავისი რესურსი სჭირდება ტერიტორიულ ორგანოებში, ამიტომ გამგებელმა შეცვალა რწმუნებულები, რომლებიც თავის მხრივ თავის გუნდს წარადგინა საშუაოდ. გამგებელთან, როგორც ვიცო, საკრებულოს ზოგიერთი წევრი მივიდა უკმაყოფილო, რომ მათთვის არასასურველი კანდიდატურა დაინშნარწმუნებულად. ჩემი მხრივ, ის კადრები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში არ გამოირჩეოდნენ კანონდარღვევებითა და კარგი სპეციალისტები არიან, აუცილებლად ვეცდები, რომ საკრებულოში დავასაქმო.



ოდში არ გამოირჩეოდნენ კანონდარღვევებითა და კარგი სპეციალისტები არიან, აუცილებლად ვეცდები, რომ საკრებულოში დავასაქმო.

— ის შედეგი, რომელიც ჭიათურის საარჩევნო ოლქმა აჩვენა, რეალურად წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, რადგან უმნიშვნელო პროცენტით ჩამორჩა სახსრის მაჩვენებლებს, მიზეზი რა შეიძლება იყოს ამ ყველაფრის?

— ვიცოდი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ წააგებდა არჩევნებს, მაგრამ ჭიათურის შედეგი მართლაც გასაცდარი იყო. ჩემთვის, ვისთვისაც საარჩევნო სფერო უცხო არ არის, ეს შედეგი წარმოუდგენელი იყო. საქართველოს უახლეს ისტორიაში ვერ წარმოვიდგენდი, რომ არჩევნების გზით თუ შეიკვლებოდა ხელისუფლება.

ბატონო ნუკრი, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლო მიზნის ჭიათურის მანგანუმს უკავშირდება. არა მარტო მე, არამედ ვერცერთმა სტრუქტურამ და მედიასაშუალებამ აქამდე ვერ მოიპოვა ის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია სახელმწიფოსა და „ჯორჯიანმანგანუმს“ შორის. ახლანან ე.წ. ტრესტის შენობაში შეხვედი აკაკი გურჯიძეს, რომელმაც ინტერვიუზე უარი მიიხრა იმ მოტივით, რომ მას არ აქვს უფლება ისაუბროს „ჯორჯიანმანგანუმის“ სახელით. „ჯორჯიანმანგანუმი“ ზესტაფონის „ფორსა“ და „გარციხისსაც“ ფლობს. გქონდათ რამე პოზიტიური ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობაში?

— ქალაქში უმძიმესი ეკოლოგიური მდგომარეობაა. ბევრად უფრო უარესი მდგომარეობა იყო მაშინ, როცა ქალაქში დაუბრკოლებლად მოძრაობდა მიმივი ტვირთამწვობის მანქანები, რომლებსაც შეუფუთავად გადააქირდა მანგანუმი. ჩვენ მხოლოდ იმას მივალწვიეთ, რომ ქალაქში სატვირთო ავტომობილებით აღარ გადააქვთ მანგანუმი.

ლევან ბარკანიშვილი: „ქართული ოცნება პრეზიდენტს უფლებაგს შეუზღუდავს!“

შორენა გონგლაძე

საზოგადოებაში დიდი სეკსაბაისი მიდის იმაზე, შეგლებს თუ არა ქართული ოცნება საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას. თუ მეოცნებეებს დავუჯერებთ, მათ საკონსტიტუციო უმრავლესობა უკვე ჰყავთ.

როგორც ცნობილია, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების პარლამენტში ინიცირების პროცესი უკვე დაწყებულია, თუმცა კონსტიტუციაში ცვლილების შესატანად მინიმუმ 100 დეპუტატის ხმაა საჭირო.

— დიხ, ჩვენ მომხრე ვართ, რომ შეიზღუდოს პრეზიდენტის ხელისუფლება და მოვიდეს იმ ნესრიგში, რა ნესრიგშიც დღეს ისედაც ვცხოვრობთ. დღევანდელი კონსტიტუცია და ცხოვრება ძალიან ასცდა ერთმანეთს. კონსტიტუციის ის ვერსია, რომელიც ბოლოს და მოუშავდა და ბოლო ცვლილებები იყო, ალბათ ყველაზე ბრიყვული ცვლილებები, რომელიც ოდესმე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოხო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგივილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საენინანხო სამსახური – კლარა ბალაშაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გაფრეკლების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგულარდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიწესტუნე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



მაგუკა არეშია: „2013 წელს სერიოზულ კაბაკლიზებას ველო“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მაგუკა არეშიასთან

— ბატონო მაგუკა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ დღეიდან საზოგადოების გარკვეული ნაწილი საპროტესტო აქციებს ინყვებს პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. ცნობილია, რომ მისი საპრეზიდენტო ვადა დღეს იწურება. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით, რამდენად არის იმის შანსი, რომ მიზანი მიღწეული იყოს?

— ახალი ხელისუფლება წინააღმდეგია აქციებისა პოლიტიკური მოთხოვნებით თავისი თანაგუნდელების მხრიდან და იმ ადამიანების მხრიდან, ვინც მათ მხარს უჭერს. ეს, პირველ რიგში, ეხებოდა ზოგიერთი რაიონის მცხოვრებთა ინიციატივას, რომ შეეცვალებოდა ადგილობრივი ხელმძღვანელობა. მაგალითად, რაც მარტვილში მოხდა, რაც ზოგიერთ სხვა რაიონში მოხდა. რაც შეეხება თვითონ ამ აქციას, რომელიც იგეგმება პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, ინიცირებული იყო უფრო მეტად საზოგადოების მხრიდან და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან. ეს გულისხმობს სამართლიანობის აღდგენას, ვინაიდან საზოგადოების ერთი ნაწილი თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილს არა აქვს უფლება, იყოს საქართველოს პრეზიდენტი ოქტომბრამდე. მას კონსტიტუციური ვადა გასდის 5 იანვარს. მე ვერ ვიტყვი, რომ ამ ვადებთან დაკავშირებით ყველაფერი ნათლად არის, იმიტომ რომ მათ იმდენჯერ ცვალეს კონსტიტუცია, ჩვეულებრივი ადამიანი ვერ გაიგებს, ბოლოს და ბოლოს, როდის იწურება მისი პრეზიდენტობის ვადა. ამიტომ ეს სტიქიური მოვლენა, რაც ახლა ხდება, შეიძლება ვინმემ ჩათვალოს, რომ მართლაც არის, ყოველ შემთხვევაში, ის შიგნიდან არის მართული და ეს არის საზოგადოების ერთი საკმაოდ მოზრდილი ჯგუფის ინიციატივა. ამ აქციას აქვს თავისი მორალური უფლება, რომ იყოს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, რთული სათქმელია. ყველასთვის ცნობილია, რომ ნაციონალისტების მხრიდან ხდება ძალადუფლებამ მოზღაურება და, აქედან გამომდინარე, უჭირავს მთავარსარდალმა თვითონ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც საზოგადოების უდიდესი ნაწილის ნების გამოხატულია.

— შედეგს რამდენად გამოიღებს?
— რამდენად გამოიღებს შედეგს, ეს, რთული სათქმელია, იმიტომ რომ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ იმას, რომ აქციებითა და ხალხის პროტესტით იცვლებოდეს ხელისუფლება. თუმცა ამ ფორმასაც აქვს არსებობის უფლება. ამაზე საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, უნდა იმსჯელოს ხელისუფლებამ და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უზენაესმა მთავარსარდალმა თვითონ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც საზოგადოების უდიდესი ნაწილის ნების გამოხატულია.
— ბატონო მაგუკა, ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, რომ საზოგადოებაში ძალიან დიდი აგრესიაა სააკაშვილთან დაკავშირებით?

მასშტაბური ხასიათი მიიღოს ამ აქციებმა და უმართავ პროცესებში გადაიზარდოს?

— აი, ეგ მაშინებს ყველაზე მეტად და მაგიტომ ვარ თავშეკავებული შეფასების დროს. მე ვიცი, რომ შეიძლება ბევრის გულისწყრომა გამოიწვიოს ბარიკადის ორივე მხარეს, მაგრამ მეშინია, უმართავ პროცესებში არ გადაიზარდოს ეს ყველაფერი და ამას არ მოჰყვება თუნდაც ისეთი გაგრძელება, როგორც იყო ვარდების რევოლუციის წინა დღეებში. მე მინდა, საქართველოში ყველაფერს ერთხელ და სამუდამოდ მიეცეს კონსტიტუციური ფორმა. მეორე საკითხია ის, რომ კონსტიტუცია ისეთ მდგომარეობაშია, რა ფორმა უნდა მიეცეს, ამ კითხვებზე პასუხის გაცემაც რთულია.


— ალბათ, ისიც საკითხავია, თუკი უმართავი პროცესები დაიწყო, ეს ვის ნიშნავს დასახმარ წყალს?

— აი, ეგ არის საქმე, ეს არის საკითხავი, როგორ განვითარდება მოვლენები, ვინ გამოიყენებს ამას, ვინ როგორ შეფასებებს მისცემს. რასაკვირველია, ეს ყველაფერი გასათვლელი და გასათვალისწინებელია. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო. საქართველოს უახლესი ისტორიის მაგალითები მე ოპტიმიზმის უფლებას არ მაძლევს, ამიტომ ვფიქრობ, ჩემი ხანგრძლივი პოლიტიკური ცხოვრებიდან და იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც დამიგროვდა, ვფიქრობ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორი ფორმით წარიმართება საპროტესტო აქციები და საპროტესტო განწყობები. დარწმუნებული ვარ, ნაციონალური მოძრაობა შეეცდება, სათავისოდ გამოიყენოს ეს სიტუაცია და პროვოკაციაზე წამოაგოს საზოგადოება, რათა სათქმელი ჰქონდეს, რომ ძალადობრივი გზით მოხდა მათი შეცვლა. სწორედ ამაზე იქნება აპელირება, რომ ჩვენ დემოკრატიულად გადავაბარეთ ხელისუფლება და ესენი სიტყვას არ ასრულებენ. აუცილებლად იქნება ამაზე ლაპარაკი.

— იმედია, ეს არ მოხდება.
— დიას, არ უნდა მოხდეს. მე ვფიქრობ, რომ პროტესტის გამოხატვის უფლება ყველას აქვს, ყველას აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება და ამას უნდა მიეცეს უბრალოდ ნორმალური ფორმა და არავითარ შემთხვევაში ექსცესში არ უნდა გადაიზარდოს.

— ბატონო მაგუკა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ მათ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საკმარისი ხმები აქვთ. ეს როგორ უნდა გავიგოთ? რას ნიშნავს მათი განცხადებები?

— პრეზიდენტის რამდენიმე განცხადება ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ის უბიძგებს მავანს აქტიური ქმედებებისკენ. ეს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისადმი მიმართვა,



ეს იყო იმ ტიპის ქმედებები, როდესაც უმცირესობის ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობს, რომ საზოგადოება პროვოკაციაზე წამოაგოს. აი, მაგალითად, რაც მოხდა მარტვილში, რაც მოხდა ქუთაისში. აქედან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ უმცირესობის წარმომადგენლები ცდილობენ, პროვოკაციული სივრცე შექმნან ქვეყანაში და სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვიონ. იქმნება ასეთი შთაბეჭდილება. მე არ დავინყვებ იმის მტკიცებას, რომ ვინდა თუ არა ეს ასეა. ამიტომ უმრავლესობის წევრთა ეს განცხადებები არის გამაფრთხილებელი, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ლაპარაკია იმაზე, რომ თუ თქვენ გააგრძელებთ ასეთ ქმედებას, მაშინ ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებას და იმპიჩმენტის პროცესს წამოვიწყებთ. თუმცა ივანიშვილმა და კოალიციამ „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ არაერთხელ განაცხადა, რომ მას არა აქვს ამის სურვილი, ის არ აპირებს ამის გაკეთებას. მოდი, ასე დავარქვათ, ეს განცხადებები, რომლებზეც ახლა თქვენ გაამახვილეთ ყურადღება, ანუ განცხადება იმის თაობაზე, რომ „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, უფრო მეტად გაფრთხილებია, ვიდრე რეალური ქმედებებისკენ გადადგმული ნაბიჯი.

რძელებს ასეთ ქმედებას, მაშინ ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებას და იმპიჩმენტის პროცესს წამოვიწყებთ. თუმცა ივანიშვილმა და კოალიციამ „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ არაერთხელ განაცხადა, რომ მას არა აქვს ამის სურვილი, ის არ აპირებს ამის გაკეთებას. მოდი, ასე დავარქვათ, ეს განცხადებები, რომლებზეც ახლა თქვენ გაამახვილეთ ყურადღება, ანუ განცხადება იმის თაობაზე, რომ „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, უფრო მეტად გაფრთხილებია, ვიდრე რეალური ქმედებებისკენ გადადგმული ნაბიჯი.

— რაც შეეხება სააკაშვილის ინიციატივას, თქვენთვისაც ცნობილი იქნება ამის შესახებ. მან მოუწოდა უმრავლესობას კონსტიტუციური თანამშრომლობისკენ, ძველი წყნის დავისგანსაკენ... ითვია, რომ ეს შეშინებული და აგონიაში მყოფი პრეზიდენტის პოზიციას. ნაწილმა კი ეს ისე გაიგო, რომ სააკაშვილს ეს ყველაფერი დასავლეთის დასახმარავად სჭირდება. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— ამ წინადადების მხოლოდ ბოლო ნაწილს დავეთანხმებოდა, დასავლეთის დასახმარავად რომ ხდება ეს ყველაფერი. რაზეა აგებული მთლიანად მისი ქმედების წესი? აგებულია იმაზე, რომ ჩვენ დემოკრატიულად გადავცვიტოთ ხელისუფლება, ხალხის ნებას დავემორჩილოთ, გვექონდა გარკვეული შეთანხმება და „ქართული ოცნება“ მიდის ამ შეთანხმების წინააღმდეგ. აი, ეს არის ძირითადი მოტივი ნაციონალური მოძრაობის ქმედებისა, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, „ქართული ოცნება“ არღვევს შეთანხმებას, ამის თქმა სურს დასავლეთისთვის სააკაშვილს. ვინმეს თუ ჰგონია, რომ სიტყვა „კოპიატივაცია“ იმიტომ არის ნახმარი, რომ ახალი რეჟიმი შექმნილიყო პოლიტიკურ ძალთა შორის ურთიერთობის, ძალიან ცდება. ყველა ნაბიჯი, რომელსაც დგამს ნაციონალური მოძრაობა, ორიენტირებულია პირველ რიგში არა საკუთარ საზოგადოებაზე, არამედ მათ პარტნიორებზე და ჩვენი ქვეყნის პარტნიორებზე დასავლეთში. ეს სიტყვაც ამისთვის შეიქმნა, რატომ არ არის მისი ქართული შესატყვისი გამოყენებული, მაგალითად, თანამშრომლობა? ზუსტად იმიტომ არის, რომ ეს სიტყვა უფრო ადვილად აღქმადია დასავლელი პარტნიორებისთვის. მათ უფრო იოლად ესმით, რაშია საქმე, ამიტომ არის, რომ ამ სიტყვის ბრუნვა ხდება სხვადასხვა ფორმაში. მთლიანად ეს ქმედება არის ორიენტირებული დასავლეთზე. შეიძლება საზოგადოებას გამოჩნა ამ სადღესასწაულო დღეებში, მე არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, საქმე ისე არ არის, როგორც ბევრს წარმოუდგენია.

— ამაში რა იგულისხმება?
— ნაციონალურმა მოძრაობამ თადარიგი თავიდანვე დაიჭირა და როდესაც დაინახა, რომ აგებდა და წაგების შემდეგაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სხვადასხვა რგოლში თავისი წარმომადგენლობა გაეძლიერებინა. ეს არის პირველ რიგში ადგილობრივ ხელისუფლებაში და მეორე რიგში — ძალად უწყებებში. მაქსიმალურად შეეცადა, გაეძლიერებინა. ძალად სტრუქტურებში ისე გააკეთეს, რომ მათი წარმომადგენლობა ქვედა რგოლებში ყოფილიყო ძლიერი. მათ სპეციალურად შექმნეს ასეთი ფორმატი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალი ჩინის ოფიცრები გადაიყვანეს ქვედა რგოლებში. ოპერებდა აქციებს. ეს გათვლილი იყო იმაზე, რომ ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემთხვევაში ოპერებს არავინ გააგდება. დღეს ამ „ოპერების“ ერთი დიდი ნაწილი არის მათი ძირითადი დასაყრდენი. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა ყოფილიყო. ახლა როგორ განვითარდა მოვლენები, რამდენად არიან ეს „ოპერები“ ძველი ხელისუფლების ერთგულნი, ეს სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში, გათვლა ამაზე იყო. აქედან გამომდინარე, მე მინდა გითხრათ, რომ ერთიანი პრინციპით მოქმედებს ნაციონალური მოძრაობა როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ქვეყნის მმართველობით სისტემაში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რეგიონულ დონეზეც, ანუ ყველაგან ქმნის პროვოკაციულ სივრცეს.

— სააკაშვილის ავღანეთში ჩასვლაზე რას ფიქრობთ?
— როდესაც პროვოკაციაზე ვსაუბრობდი, ვიდრე ის ავღანეთში წავიდოდა, ჩასული იყო გარდაბნის რაიონში, მაშელოვების ოჯახში, სადაც მართლა ვანდალური ფაქტი მოხდა. როდესაც ოჯახს დაესხა თავს ყაჩაღთა ჯგუფი, დააუთოვეს ოჯახის ერთ-ერთი წევრი და ბავშვს მოაჭრეს თითი, რომ დაეშინებინათ დანარჩენი ოჯახის წევრები და 16 ათასი ლარი წაიღეს. ეს ფაქტი თავისი ბარბაროსობით აღნიშნის ღირსია, მაგრამ აქ სულ სხვა რამეა მთავარი. მთელი არჩევნების პერიოდში ქვემო ქართლში ისმოდა ერთი და იგივე ფრაზა, როცა ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მოსახლეობას ხედებოდნენ, ისინი იქაურ მოსახლეობას ეუბნებოდნენ, რომ თუ ჩვენ დავმარცხებით, აქ დაბრუნდება ის დრო, როდესაც თქვენ სვანები გაყარავენ. ამ ფრაზას მნიშვნელობა აქვს. აქ ხაზგასმული იყო სიტყვა „სვანები“. ამას მოჰყვა ის, რომ აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ ნაციონალურ მოძრაობას დაუჭირა მხარი, თუმცა არა იმ რაოდენობით, როგორც მათ წარმოედგინათ. ამჯერად მხარდაჭერა გამოიხატა დაახლოებით 65/35-ზე, როცა ისინი იქ 90%-ს იღებდნენ ყოველთვის. თუმცა პარალელურად ხდება შემდეგი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, არჩევნების შემდეგ ადგილობრივი აზერბაიჯანული მოსახლეობის რაღაცა ნაწილი იწყებს კანონიერი გზით იარაღის შექმნასა და გაფორმებას. სხვათა შორის, ამ გაფორმების სამსახურებზე ყურადღება მიაქციეს, რომ აზერბაიჯანულ მოსახლეობაში უფროდ გაიზარდა იარაღის შექმნის მსურველთა რიცხვი. ეს ყველაფერი კანონიერად ხდებოდა. ჩვენ დავინტერესდით, რაში იყო საქმე და გავარკვიეთ, რომ ხალხი არის უბრალოდ შეშინებული. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ახალ ხელისუფლებას ენდობიან, სჯერათ მათი, თავს მაინც იზღვევენ. ეს ყველაფერი კი ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდის შედეგია და ეს არც გაჩერებულა. არჩევნების მეორე იმავეს

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მასული წლის სინტაქსო ფაქტები მობილურში

დღე-ღამის განმავლობაში ინტერნეტით სარგებლობის რეკორდული მაჩვენებელი

- * ერთი აბონენტის მიერ მოხმარებული იქნა **24 GB** - 26 ოქტომბერი
- * მაგთიკომის აბონენტების მიერ მოხმარებული იქნა **9 000 GB** - 15 დეკემბერი

დღე-ღამის განმავლობაში გაცხადებული SMS-ების რეკორდული რაოდენობა

- * ერთი აბონენტის მიერ გაიგზავნა **3 162 SMS** - 24 იანვარი
- * მაგთიკომის აბონენტების მიერ გაიგზავნა **8 195 638 SMS** - 15 აპრილი

დღე-ღამის განმავლობაში ზარების რეკორდული რაოდენობა

- * ერთი აბონენტის მიერ განხორციელდა **5 002** ზარი - 26 აპრილი
- * მაგთიკომის აბონენტების მიერ განხორციელდა **6 816 183** ზარი - 1 იანვარი

ყველაზე მაღალ წარბილში განთავსებული საბაზო სადგური
ცხრანწყაროს საბაზო სადგური
(ზღვის დონიდან **2 794** მეტრის სიმაღლეზე)

მაგთიკომის ქსალში მიღწეული მონაცემთა გადაცემის მაქსიმალური სიჩქარე
HSPA+ ტექნოლოგიის მეშვეობით - **21 MB/წმ**

კვირის ყველაზე დაბვირთული დღეები

- * ორშაბათი (SMS-სერვისი)
- * ხუთშაბათი (ზარები)
- * კვირა (ინტერნეტსერვისი)

როუმინგით ყველაზე ხშირად სარგებლობდნენ
თურქეთში

მაგთიკომი
www.magticom.ge



გალჯახვი

100% ნატურალური პროდუქტი!

როცა თვით ბუნება კურნავს...

პრომოქტი



ბალჯახვი „პრომოქტი“ – ბუნების მიერ ნაჩვენები ჯანმრთელობა!

ლეკენდებით მოცული კარპატის მთები, რომელსაც უძველესი ხალხური გადმოცემები, განთქმულია არამხოლოდ მიწისქვეშა განძებით...



წვენ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, სხვა ქვეყანაში. მაგრამ ერთი კი უცვლელი დარჩა – ძლიერი ჯანმრთელობის სურვილი თქვენთვის და თქვენთვის ახლობლებისთვის...

ბალჯახვი უნიკალური მდგომარეობის იმპია, რომ თითოეული მისი შემადგენელი კომპონენტი მრავალფუნქციურია თავისთავად...

მის შემადგენლობაში შედის: თაფლი, პროპოლისი, კედრის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაცვის ზეთი, ფუტკრის ცვილი. პრაქტიკულად ნებისმიერ მათგანს ხალხში უწოდებენ „ურალის ოქროს ფესვს“.

დაავადებებთან გამკლავებაში. მისი გამოყენების შედეგები შესამჩნევია უკვე პირველსავე დღეებში, შეინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესება...

ბალჯახვი „პრომოქტი“ ხელს უწყობს სისხლის კაპილარების გაფართოებას და ავსებას, რაც აძლიერებს ვენოზურ გადიდებას, აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას და შევლის ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს...

„პრომოქტი“ ეფექტურია ნებისმიერი მწვავე ინფექციური დაავადების მოხსნის დროს (გრძობა, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციები, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ჰაიმორიტი, პარონაზიტი, ყურის და სამწვერა ნერვის ანთებები...

გამოსცადეთ თქვენს თავზე ჯადოსნური ძალა ბალჯახვის, რომელიც თვით ბუნების მიერაა შექმნილი. მის დამზადებაზე იმუშავა ათასობით ფუტკარმა, რომლებიც დაუღალავად დაფრინდნენ ყველიდან ყველიზე...

შეფრქვით „პრომოქტი“-თან ერთად კარპატების მაცოცხლებელი სუნთქვა.

არცერთი როგორ მადლობა გადაგიხადოთ, იმისათვის რომ კუჭ-ნაწლავის სისტემასთან პრობლემები მქონდა, სიმძიმის შეგრძნება, გერაფერს ვჭამდი, ართროზი და თირკმელებიც მაწუხებდა, ამის გამო ხშირად შეტყვევები მქონდა. ჟურნალში წავიკითხე პრომოქტის შესახებ შევიტყვევე, მან ძალიან დამეხმარა. მივიღე 8 ქილა, ესეა კი სახსრებში ტკივილები მომეხსნა, სიარული აღარ მიჭირს, სიმძიმის შეგრძნება და თირკმელების შეტყვევებაც არ მაწუხებს, არც მაწუხებს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია!

ნინო გელაშვილი. 53წ. ბორჯომი.

დედანიშნისთვის შევიძინე ბალჯახვი, მას უკვე 15 წელია, რაც აქვს ჰაიმორიტი და ტრომბოზი ანუ ტრომბოზი, მას პეხზე მოწითალო ფერის მტკივნეული სიმკვრივე მქონდა ანუ ტრომბი. ბალჯახვი დედა ჩემი დეგულობდა დღეში 2ჯერ შინაგანად, დღეში 2ჯერ ისმევედა ჰაიმორიტის შედეგად იმ ადგილებში სადაც ჩირქი იყო დაგროვილი და ტრომბზეც ისმევედა ამავე დროს. მან სულ მივიღე 12 ქილა და მკურნალობის შემდეგ პეხზე ტრომბი დაიშალა, ცხვირიდან დაიწყო ჩირქის გამოყოფა და გამოსუფთავდა, არკულნალობას არანეულებრივად შედეგი მომეცა და ამიტომაც თქვენთან კვლავ მოვივლი ბალჯახვის შესახებ! უღრმესი მადლობა!

ლენა გულიტაშვილი 63წ. ქობულისი

უკვე 80 წლის ვარ და ბევრი რამ მაწუხებს. ყველაზე მეტად სახსრები მაწუხებს, მუხლის ტკივილები მაქვს, რის გამოც სიარული მიჭირს, მაგრამ არაფერი მშველიდა, ამის გარდა ბუასილი, ღვიძლის და კუჭი ტკივილები მაწუხებდა. 4 ქილის მიღების შემდეგ, სიმხნევე ვიგრძენი, სახსრებში ტკივილმა გამიარა, ბუასილი, ღვიძლის და კუჭის ტკივილები აღარ მაწუხებს, რაც ძალიან მახარებს! დიდ მადლობას მოგიხდით თქვენ და პრომოქტს!

ვახტანგ ზერევიძე 80წ. ქ. თბილისი.

ყოველთვის ხალხური მედიცინის მომხრე ვიყავი წავიკითხე გაზეთში პრომოქტის შემადგენლობაზე, ძალიან დავინტერესდი, ეს ხომ უწყვეტად შემადგენლობაა. საჯდომი ნერვის ანთება, ართრიტი და რადიკულიტი მაწუხებდა, სიარული მიჭირდა, ვერ დავდიოდი. ბალჯახვი ინსტრუქციის მიხედვით ვეგულობდი, ესეა კი ყველა სატკივარმა გამიარა, საჯდომი ნერვის ანთება გაქრა სახსრების ტკივილებიც მომეხსნა! დიდი მადლობა!

თამარი ფალიანი. ქ. ქუთაისი

ჩემი ახლობლისგან ბალჯახვის შესახებ გავიგე, მან ძალიან დამეხმარა და იმითაც მირჩია. მადალი წნეგები მაწუხებდა, ბრონქიტი, რის გამოც სუნთქვა მიჭირდა და ნახევლიც მქონდა, ოსტეოქონდროზის გამოც კი ტკივილები მქონდა, სიარულიც მიჭირდა. ბალჯახვი შემდეგ კი ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა კი გამეუმჯობესდა, სუნთქვა უკვე აღარ მიჭირს, კვლეა კიდურებში და სახსრებში ტკივილებიც გამიარა და წნეგაც დაიწია, უკვე საერთო და აღარ ვიზომავ. ბალჯახვი პრომოქტის დიდი მადლიერი ვარ!

ბაბუაძე ლოლა, ქრუსთავი.

2002 წ. ჩემს მეუღლს აღმოუჩნდა შაქრიანი დიაბეტი, მერყევი არტერიული წნევა აწუხებდა ახლობელმა მირჩია პრომოქტი, ის მას ძალიან დამეხმარა. 6 ქილის მიღების შემდეგ, შევატყვევრე, რომ შაქრმა დაიწია, სახეზე ფერი შეეცვალა, გაუარა შეგრძნება და წნევა დაურევლირდა, იმუნიტეტიც გაუმჯობესდა. მთელი გულით დიდ მადლობას მოგიხდით!

ანზორ გოგრიანი 55წ. ქ. თბილისი.

ქოლესტერინის მაღალი დონე ანუ 300 მქონდა, ესეა კი დაიწია 250 არის. თირკმელებში ნაღველიც მქონდა და გამოსუფთავდა, გემოგლობინიც მქონდა დაბალი და აიწია, ერთი თვის განმავლობაში დაღვევის რეაქცია მაღალი მქონდა (როცა ის მაღალია, ესეივი ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმში ანთებითი პროცესი მიმდინარეობს), ესეა კი ის დაიწია, სახსრების ტკივილებიც მქონდა და მომეხსნა, ყველა ჩამოთვლილი დაავადება ქრონიკული ფორმაში მაქვს, ამის გარდა ფარისებრივი ჯირკვლი მაწუხებს, მისი TSH მონიტორინგით ხაეროდ არ იყო სისხლში, ის ნული იყო, ესეა კი ნორმის ფარგლებშია 0,8, იმუნური სისტემაც გამომდინარედა! სულ მივიღე ბალჯახვის 7 ქილა და მიღებული შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ! მე ვენდობი მხოლოდ ბალჯახვი პრომოქტს!

კეტოშვილი ზაირა. 54წ. ქ. თბილისი.

თითქმის ყველაფერი მაწუხებდა, ნადველი, არტერიული წნევა, ქრონიკული კოლიტი, საშარდე გზების ანთებითი პროცესი, ხშირი შარდვა, არტროზი, ბრონქიალური ასთმა და უძილობა. გაზეთში წავიკითხე თქვენი პროდუქტის შესახებ გავიგე და მკურნალობა დავიწყო. ბალჯახვის მიღების შემდეგ, ნადველი აღარ მაწუხებს, არტერიული წნევა დაიწია, სახსრებში ტკივილებმა, ხშირი შარდვა და ასთმის შეტყვევები გამიარა, კუჭის მოქმედება და ძილი დამირეგულირდა. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ!



ემონჯავა მადონა. 60წ. წაღენჯიხა.

თქვეთან ბალჯახვი პრომოქტის 4 ქილა შევიძინე. გულ-სისხლძარღვთა სისტემასთან პრობლემები მქონდა-ათ როსკლეროზი ანუ სისხლ-ძარღვთა შევიწროვება, არტერიული წნევა და გაღვიანიობა. როგორც კი დავიწყო ბალჯახვის მიღება, საერთო მდგომარეობა გამოუმჯობესდა, გაღვიანიობამ გამიარა, უფრო მშვიდი ვავსდი, წნევამაც დაიწია და სისხლის მიმოქცევა გამოუმჯობესდა. ჩემი ამხანაგის მადლიერი ვარ, იმისთვის, რომ ბალჯახვი მირჩია და რა თქმა უნდა თქვენი მადლობელიც ვარ!

ტაბატაძე აკაკი. 47წ. სურამი.

მაქვს გლუკოზა, ბურუსი მქონდა თვალბინი. გაზეთში წავიკითხე პრომოქტის შესახებ გავიგე და მიღება დავიწყო, ვღებულობდი შინაგანად, თვალბინის ორგანო და საფეხლებზეც ვისმევედი. კურსის ჩატარების შემდეგ, ბურუსი თვალბინზე გამიარა და მხედველობაც გამოუმჯობესდა! ბალჯახვი მე ძალიან დამეხმარა, რისთვის მადლიერებას გამოვხატავ!

თალიკო თაკიძე. 67წ. ქობულეთი.

ყველაზე მთავარია იმ ხალხთა გულწრფელი წერილები, რომლებმაც თავის თავზე გამოცდადეს ბალჯახვი „პრომოქტი“-ს კეთილსმყოფელი მოქმედება.

„პრომოქტი“-ს გამოფენა-გაყიდვა, აბრკითვე დაფორმებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიგარეთაა შემდეგ მისამართებზე:

თბილისი 8,9,10,11,12,13,14, იანვარი მის. ბახტრიონის 22. 15.00-17.00 საათამდე. ვარკეთილი-3, 2-მ/რ, სესილია თაყაიშვილის ქუჩა 1. 167 მარშუტის ბოლო განჩერება, ავერსის აფთიაქის თავზე 10.00-20.00 საათამდე ყოველდღე. 13 იანვარი. რუსთავი მის. შარტავას 13 მიმდ. ტერ. „ბაო“ 12.00-13.00 საათამდე.

ერთი შეფუთვის ფასი: 32.80 ლარი ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29.80 ლარი ერთი შეფუთვის მასა: 120 გრამი მინიგალური შეფუთვა - 2 შეფუთვა არ ფარმოადგენს მედიკამენტს. მიღებაზე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია. საქონელი სერტიფიცირებულია

www.apifito.net გაეოსცადე ბალჯახვის სამკურნალო თვისება. ბუნების ნაჩვენები. საინფორმაციო: 571 22 98 98



ახალი წლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

5 იანვარი - დადებითი დღეა

პირი - გზიდან ვი-ლაქ ჩამოდის და თქვენთვის საჩუქარი ჩამოაქვს. **ქარი** - ფულის პრობლემა არ გაქვთ. **მეზობელი** - არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ქირისი** - ზედმეტი აქტიურობა დღეს არ ღირს. **ლომი** - თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩინო, ვისაც საჭიროა, თვალში სწორედ მას მოხვდებით. **ქალწული** - არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **სასწორი** - ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია არ მოდუნდეთ. **ღრიანკალი** - დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ, მთავარია, მოინდომოთ. **მშვილდოსანი** - იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **თხის რაა** - თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს და ეს გახარებთ. **მარწყული** - ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **თაყვანი** - ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ.

6 იანვარი - შემოქმედებითი დღეა

პირი - არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ქარი** - ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მეზობელი** - ფულის პრობლემა არ გაქვთ. **ქირისი** - სიყვარულში გიმართლებთ, გელის საჩუქარი. **ლომი** - ახალი პროექტი გაამართლებს. **ქალწული** - მეგობრების წრეში კარგად გაერთობით და მათგან კარგ ამბავს გაიგებთ. **სასწორი** - გზიდან ვილაქ ჩამოდის, თქვენთვის საჩუქარი ჩამოაქვს. **ღრიანკალი** - დაისვენეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **მშვილდოსანი** - ყველაფერი იცით, მაგრამ საიდუმლო არავის გაანდოთ. **თხის რაა** - ხილი და ბოსტნეული უზვად მიიღეთ. **მარწყული** - ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თაყვანი** - ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისუხებთ ბენიქს დღეს!



გაღვიძება!

„ახალ თაობასთან“ ერთად იღიანო II ოქროს ხანა სამტომეული

ლევან კობიაშვილი სათაგაოდ ეგზალდა

ბერლინის „ჰერტას“ ქართველმა ფეხბურთელმა ლევან კობიაშვილმა 7-თვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და 3 იანვარს გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა.

შეგახსენებთ, რომ კობიაშვილს ბრაზად შარშან მაისში დიუსელდორფის „ფორტუნასთან“ მატჩში მსაჯ ვოლფგანგ შტარკისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა დასდეს და, დისკვალიფიკაციის გარდა, ჯარიმის სახით 60.000 ევრო გადაახდევინეს.

ჩვენებურის დაბრუნებამ ბერლინელი ფურნალისტების საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. იქაურმა ტელევიზიამ სიუჟეტიც კი მოამზადა და ინტერვიუ ჩამოართვა.

ლევანის დაბრუნებაზე ისაუბრა ასევე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იოსი ლუპუკაუძემ.

— კობი გვჭირდება. ჩვენ მის დაუყოვნებლივ გამოხსენებლად მზად ვართ, — ასეთია ბერლინელთა თავკაცის აზრი.

იტალიური ჩხუბი იმგლისში — ვინ დაგოვავს სიზის



ლევანს ყველაზე ხმაურიანად კლუბის ვებგვერდი გამოეხმაურა.

ხმოხც იქნა!

— კარგია, რომ 2012 წელი, როგორც იქნა, დასრულდა. ეს არ იყო ჩემი წელიწადი და არც „ჰერტასის“. 7 თვე ფეხბურთოდ ჩემი კარიერაში ყველაზე ცუდი დროა, — განაცხადა კობიაშვილმა, რომელიც დღემდე ამტკიცებს, რომ დიუსელდორფის „ფორტუნასთან“ მატჩში მთავარი მსაჯისთვის ვოლფგანგ შტარკისთვის ხელი არ დაურტყამს.

თავის მხრივ, ბერლინური კლუბი ქართველ ფეხბურთელს მხარში ამოუდგა და, მიუხედავად იმისა, რომ დისკვალიფიკირებული იყო, შარშან ზაფხულში ახალი, 2-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

— ეს ძალიან კარგი შესაძლებლობა იყო, რადგან კლუბმა აჩვენა, რომ ჩემი სურვილი, — აღნიშნავს „ჰერტას“ ექსკაპიტანი.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ვერ დაინყო ახალი წელი სასიამოვნოდ „მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელ მარიო ბალოტელისა და გუნდის მთავარ მწვრთნელ რობერტო მანჩინისთვის, თუმცა ეს უფრო ბალოტელიმ უნდა იჯავროს, რომელსაც, სავარაუდოდ, გვარიანი უქმობა მოუწევს. მწვრთნელმა და შეიკრძა ერთმანეთს ვარჯიშისას, ბაზაზე „დააყარეს“ და მათი გაშვება ფეხბურთელებსა და თუ სხვა მომსახურე პერსონალს მოუხდა.

ბრიტანული მედიის ცნობით, იტალიელ მწვრთნელსა და მის თანამემამულე ფეხბურთელს შორის კამათი და განეკ-გამონევა მას შემდეგ დაიწყო, რაც ვარჯიშზე ბალოტელი თანაგუნდელ სკოტ სინკლერს ფეხებში უხეშად ჩაუვარდა. მწვრთნელმა მარიოს მითითება მისცა, რასაც უშაბ უპასუხა ბალოტელიმ და შემდეგ რაც მოჰყვა, სურათზე იხილავთ.

აღნიშნულმა ინციდენტმა კიდევ უფრო გაამძავრა ხმები 22 წლის ფეხბურთელის „მანჩესტერ სიტისთან“ შესაძლო ნასვლასა და იტალიაში უკვე ამ ზამთარს დაბრუნებაზე.

კხოსკიხი ა

შეუღალა: 1. სისხლის თხევადი ნაწილი; 2. თამაზ მელიაგას კინოკომედია; 3. პოპულარული პარკი თბილისში; 4. უზენაესი სასამართლო თურქეთში; 5. ავტოდრომი საფრანგეთში; 6. ცხარე ხანებელი; 11. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 12. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი; 16. ლეო დელბის ოპერა; 17. ძველად სატუსალო, დღეისათვის იმპრესიონისტთა მუზეუმი პარიზში; 18. მათემატიკაში, ჯამის აღნიშვნელი ბერძნული ასო.

თარაზულად: 1. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 5. სოხუმის ძველი სახელწოდება; 7. ცნობილი ქართველი წყალმომარაგებელი მამაკაცი; 9. ქალაქი სამეგრელოში; 10. თავდაზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 13. სისხლის ადენის ადენოციტოზის და კორსიკაში; 14. ქვიშის, მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 15. მოტლანდიური ნაგავი; 19. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ხილი; 20. აფრიკის სახელმწიფო ბენინის დღევანდელი სახელწოდება; 21. გერმანული ლუდი; 22. მთა თბილისში.

ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანად დასახელდა



დენტი ვლადიმერ პუტინი უდაგას. რეიტინგის ავტორების განცხადებით, პუტინი აღნიშნულ სიაში მეორე ადგილს იკავებს და იქიდან გამომდინარე, რომ პირველ ადგილზე ვერა-ვინ გავიდა, აღნიშნულ რეიტინგს სათავეში რუსეთის პრეზიდენტი ჩაუდგა. ავტორები რეიტინგში ვაკანტურ პირველ ადგილს უკავშირებენ იმას, რომ ჯერ კიდევ ყველა ელოდება ისეთ ადამიანს, ვინც თავის თავზე თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე მძიმე გამოწვევებზე პასუხისმგებლობას აიღებს.

რეიტინგში მესამე ადგილას აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი ბენ ბერნანკი გავიდა. მას გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მოყვებიან. ობამას კი — ევროპის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე მარიო დრეაგი.

ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ჰამენეი და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი კრისტიან ლაგარდი მერვე და მეცხრე ადგილზე გავიდნენ.

გავლენიანი ადამიანების ათეულს საუდის არაბეთის მონარქი აბდულა ბენ აბდულ აზიზ ალ საუდი ასრულებს.

მედიანოსი

ამერიკულმა გამოცემამ Foreign Policy 2012 წლის ყველაზე გავლენიანი ადამიანების სია გამოაქვეყნა. გამოცემის ვერსიით, 2012 წლის ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიას სათავეში რუსეთის ფედერაციის პრეზი-

